N 245 28/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე მახათაძის მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
სოფელი, თემი, დაბა: ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული
შეხვედრის ჩატარების თარიღი: 27. 06. 2019 წელი 14:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს წევრი და ამასთანავე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს წევრი ამირან გიგინეიშვილი, მერის წარმომადგენელი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ვასილ ბურძგლა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპრციალისტი გურამ ბოლქვაძე და სოფელ ჯურუყვეთის ადგილობრივი მაცხოვრებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მათთან შესახვედრად.

საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, როგორც საკრებულოს, ასევე საკრებულოს ფრაქციასა და კომისიებში ამომრჩევლებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში იყო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ წევრი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. ასევე არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და იურიდიული პირის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი და მონაწილეობა მიიღო კომისიის 6 სხდომაში.

ესწრებოდა საკრებულოს 23, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომას. ჩაატარა საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის 18 სხდომა.

მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებში. ამასთანავე არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

პერიოდულად შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უშუალოდ სოფელში, ისმენდა მათ პრობლემებს და მაქსიმალურად ცდილობდა მათ მოგვარებას.

ასევე, ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განიხილავდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, რომლის შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა, ხოლო 2019 წელს მიმდინარეობს წერტილოვანი შეწამვლები.

საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ ისაუბრა იმ პროექტებზე და დახმარებებზე, რომელიც ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა, როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.კერძოდ ეს პროექტებია:

-ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, კვაჭაძეების უბანში, რომელი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს გაკეთდა გზა 18 000 ლარის ღირებულების;

-ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ ჯურუყვეთში გაკეთდა გარე განათების 53 სანათი 12 ახალი ბოძით, ჯამში 15 600 ლარის ოდენობით;

-სოფელ ეწერზე 35 სანათი 11 ახალი ბოძით 12 000 ლარის ოდენობით;

-სოფელ ბაღლეფში 19 სანათი, 19 ახალი ბოძით 12000 ლარის ოდენობით;

-ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა 225 256 ლარის ღირებულების წყლის პროექტი, რომელიც მოიცავს 214 ოჯახს.

2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 21 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალა (სახლის სახურავი).

რაც შეეხება 2019 წელს მიმდინარეობს სოფელ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული შენობის გადახურვა-გარემონტება.

საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, სთხოვა ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდებინათ ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შესახებ.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, წლების მანძილზე ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულში მოსახლეობის მთავარ პრობლემას წარმოადგენს წყლის საკითხი. იმისათვის, რომ წყალი ყველა უბანს თანაბრად მიეწოდოს, საჭიროა ჰაერის კომპრესორით მილებიდან ჰაერის გამოდევნა და აგრეთვე წყლის შემკრები რეზერვუარის ამაღლება.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ პრობლემური საკითხის მოსაგვარებლად დახმარება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სთხოვა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი სპარტაკ კვაჭაძე და საკრებულოს წევრი ალექსანდრე მახათაძე მოსახლეობას ამ პრობლემის შეძლებისდაგვარად მოგვარებას დაპირდა.

დასასრულს, საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისათვის. ასევე საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს ნაყოფიერი და ოპერატიული მუშაობისათვის.

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია